

ნიკოლოზ (კოლა) ერისთავის პირადი ფოტო არქივის აღწერილობა

(შემდგენელი გიორგი კალანდია)

არქივი საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა 2010 წლის 24 ივნისს, ნიკოლოზ (კოლა) ერისთავის შთამომავლის თამარ აშხვაცავას მიერ.

განმარტებისათვის:

ნიკოლოზ (კოლა) ერისთავი

ფოტო კოლექცია ეკუთვნის ქსნის ერისთავთა რეზიდენციის ბოლო მკვიდრს ნიკოლოზ (კოლა) ერისთავს. მოღვაწეობდა 1865-1933- ცნობილი დეკლამატორი, რომელიც ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებსაც კარგად კითხულობდა. მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, კოლა ერისთავი ახლომეგობრულ ურთიერთობაში იყო ილიასთან და მუდმივი სტუმარი ყოფილა საგურამოში ილიაობის აღსანიშნავად გამართული ტრადიციული წვეულებებისა, რომელზეც, მწერლის პატივსაცემად, ქართული ინტელიგენციის რჩეული წარმომადგენლები იყრიდნენ თავს. ლხინს თან სდევდა “სიტყვა თამაში, სიტყვები, ექსპრომტები, მოსწრებულთა ლაპარაკი და ბოლოს კოლა ერისთავისაგან წარმოთქმული მშვენიერ კილოზე ჩვენი პოეტების ლექსები, ილიას და აკაკის პოემები”(ს.მგალობლიშვილი, მოგონებები, თბ.1938. გვ.168)

ნიკოლოზ კოლა ერისთავი ერთი პერიოდი მსახურობდა ქიზიყის მხარეში, იყო საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, ხშირად მართავდა თეატრალურ წარმოდგენებს ახალგორის ერისთავთა სასახლეში.

ქსნის საერისთავო

ქსნის საერისთავო, ფეოდალური საქართველოს სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული, XV საუკუნიდან საერისთავო-სათავადო. წარმოიშვა ქსნისა და მის აღმოსავლეთით და დასავლეთით მდებარე მცირე ხეობებში. ქსნის ხეობაში ბინადარი ცხოვრების ნიშნები უწყვეტად ჩანს ძველი ქვის ხანიდან. განსაკუთრებით ინტენსიური იყო აქ განვითარება - ცხოვრება გვიანდელი ბრინჯაოსა და ანტიკურ ეპოქაში. ანტიკური და უფრო მოგვიანო ხანაში ქსანზე რამდენიმე ცენტრი (საძვეური, ყანჩაეთი, ალაიანი) არსებობდა. ქართლში სახელმწიფოს წარმოშობის დროიდან (ძვ. წ. III საუკუნე) ქსნის ხეობა მომიჯნავე ხეობითურთ სასპასპეტოს ანუ შიდა ქართლის საერისთავოს შემადგენლობაში შედიოდა. ადრინდელი ფეოდალურ ხანაში ქსნის ხეობაში ორი ადმინისტრაციული ერთეული იყო: ქსნისხევი (ცენტრი ქვენიფნევი) და ცხრაძმისხევი (ცხრაძმისხევი) (ცენტრი ლარგვისი). ქსნის საერისთავოს ისტორია ფაქტობრივად ცხრაძმისხევისა და ქსნის ხევის ანუ მთისა და ბარის ურთიერთობის ისტორიაა. X საუკუნიდან დაიწყო ცხრაძმისხევის აღზევება. ამ დროს იგი მდინარეების ლეხურის, მეჯულის, პატარა ლიახვის ზემო ნაწილებსაც

მოიცავდა. საერისთავო გაფართოვდა სამხრეთითაც, რის გამოხატულებაც უნდა იყოს რეზიდენციის გადატანა ლარგვისიდან ქვენიფნევს. ვახუშტის ცნობით, თამარ მეფის დროს ქართლი და ქსანი ცალ-ცალკე საერისთავოები იყო. მონღოლთა შემოსევების შემდეგ, XIII საუკუნის II ნახევრიდან, დასტურდება ცხრაზმისხევის ერისთავი, რომელიც პოლიტიკური მემკვიდრე იყო ადრინდელი ფეოდალური ხანის ცხრაზმისხევის ხელისუფლისა. ქსნის ერისთავებად არიან ბიბილურები, რომლებმაც რეზიდენციის სახელწოდების მიხედვით მიიღეს ზედწოდება "ქვენიფნეველი". XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე ცხრაზმისხევის ერისთავებმა საგრძნობლად გააფართოვეს მამულები. მათს სამფლობელოში შედიოდა: ცხრაზმა, ჟამური, ქარჩოხი, ჭურთა, ქოლოთი, ისროლისხევი, აბაზასძეთა მამული, თრუსო, ღუდა, გაგასძენი, მღეთა; არახვეთი ხანდო, ყანჩაეთი, ძაგნაკორა, დიდუამი, გაგაზი, აწერისხევი, ბესუშე. XIV საუკუნის შუა წლებისათვის ქსნის ერისთავებმა გააფართოვეს მიწები ქართლის ვაკის მიმართულებით. აქ დაეუფლნენ კარბს, გარეჯ-ვარბაკურისუბანს და იკორთის მონასტერს. ხელი მიუწვდათ ქნოლისა და მადღანდვალეთზე. XV საუკუნის დასაწყისიდან ქსნის საერისთავო ფაქტობრივად ერისთავების მამულად ანუ სათავადოდ გადაიქცა. ამ ხნისათვის ისინი იყვნენ საგვარეულო საძვალის, ციხე-დარბაზების, დიდი ყმა-მამულის პატრონი. შეიქმნა ერისთავთა საგვარეულო მატრიანე "ძეგლი ერისთავთა".

ახალგორი

ახალგორი (ყოფ. ლენინგორი) - დაბა ახალგორის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტის ცენტრი. 1935-1991 წლებში ცნობილი იყო ლენინგორის სახელით. რუსეთ საქართველოს ომის შემდეგ, ქალაქს ოკუპანტებმა უწოდეს თავისი ძველი სახელწოდება (ლენინგორი). მდებარეობს ალევის ქედის დასავლეთ კალთაზე, მდინარე ქსნის მარცხენა სანაპიროზე, რკინიგზის სადგურ ქსანიდან 35 კმ-ზე. დაბის სტატუსი მიენიჭა 1960 წელს. მოსახლეობა 2.5 ათასი (2002). დაბაში არის ადმინისტრაციული, კულტურის და ჯანდაცვის დაწესებულებები, მცირე საწარმოები. ისტორიული წყაროების ცნობით, ახალგორი დაარსებულია ძვ.წ. II ს-ში, საურმაგის მეფობის პერიოდში. ვახუშტი ბაგრატიონი მას იხსენიებს "მცირე ქალაქად", რომელშიც "მკვიდრობენ ქართველნი და სომეხნი". გვიანფეოდალურ ხანაში ახალგორი ქსნის ერისთავთა რეზიდენცია იყო. ახალგორში შემორჩენილია XVII ს-ის სამი ხუროთმოძღვრული ანსამბლის ნანგრევები.

ქსნის ერისთავები:

გიორგი ქსნის ერისთავი, ერისთავი 1774-1777, ყულარადასი. სშირად ეურჩებოდა ერეკლე II-ს და ლეკთა დაქირავებული რაზმით არბევდა ქართლის სოფლებს. 1777 აჯანყდა. ერეკლე II-მ შესარიგებლად მოციქულები გაუგზავნა, მაგრამ გიორგი ქსნის ერისთავი არ დაემორჩილა. მაშინ მეფემ გიორგი და ლევან ბატონიშვილების მეთაურობით ჯარი გაგზავნა საერისთავოში. მათ საერისთავოს ციხეები აიღეს, ერისთავი შეიპყრეს და თბილისში ჩაიყვანეს (1777 დეკემბერი). ერეკლე II-მ გიორგი ქსნის ერისთავს შეუნარჩუნა, მაგრამ საერისთავო გააუქმა, მისი დიდი ნაწილი სახასოდ გამოაცხადა და გიორგი და იულონ ბატონიშვილებს გადასცა. ერისთავის შვილებს დარჩათ მცირე მამული გვერდისძირზე და შიდა ქართლში.

დავით ქსნის ერისთავი († 1774), ერისთავი 1753-1754. მხარს უჭერდა თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს. თავი გამოიჩინა ხუნძახის ბატონის ნურსალ-ბეგის წინააღმდეგ მჭადიჯურის (1754) და ყვარლის (1755) ბრძოლებში. 1755 მონაწილეობდა ერეკლე II-ის ლაშქრობაში გამდგარი ხევსურეთის წინააღმდეგ. შემდეგში, როგორც ჩანს, თანაუგრძნობდა ერეკლე II-ის ოპოზიციას, 1770 მეფესთან დააბეზღეს როგორც მოღალატე, მაგრამ თავი გაიმართლა. **დავით ქსნის ერისთავი** († 1774), ერისთავი 1753-1754. მხარს უჭერდა თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს. თავი გამოიჩინა ხუნძახის ბატონის ნურსალ-ბეგის წინააღმდეგ მჭადიჯურის (1754) და ყვარლის (1755) ბრძოლებში. 1755 მონაწილეობდა ერეკლე II-ის ლაშქრობაში გამდგარი ხევსურეთის წინააღმდეგ. შემდეგში, როგორც ჩანს, თანაუგრძნობდა ერეკლე II-ის ოპოზიციას, 1770 მეფესთან დააბეზღეს როგორც მოღალატე, მაგრამ თავი გაიმართლა.

დავით ქსნის ერისთავი (გ. 1700), ერისთავი 1696-1700 წლებში. ერისთავად დანიშნა ერეკლე I-მა მისი ბიძაშვილის, დათუნა ქსნის ერისთავის გადაყენების შემდეგ. მოკლეს დათუნას დედის წაქეზებით აჯანყებულმა ქსნისხეველებმა.

დათუნა (დავით) ქსნის ერისთავი († 1717), ერისთავი 1675-1696, 1700-1717, შალვა ქსნის ერისთავის ძე. ცოლად ჰყავდა ქართლის მეფის გიორგი XI-ის ასული. 1675 გიორგი XI-მ, რომელიც იმ დროს ქართლის გამგებლად იყო, გააძევა აჯანყებული იესე ქსნის ერისთავი და ერისთავად დათუნა დანიშნა. 1688 დათუნა ქსნის ერისთავი არ დაეხმარა გიორგი XI-ს აჯანყებული გიორგი არაგვის ერისთავის წინააღმდეგ ბრძოლაში. არაგვის ერისთავი მაინც დამარცხდა და მეფის კარზე მივიდა პატიების სათხოვნელად, მაგრამ დათუნა ქსნის ერისთავის წაქეზებით მეფესთან არ შესულა, ისე გაიპარა. ქართლში ერეკლე I-ის გამეფებიდან (1688) დათუნა ქსნის ერისთავი ხან ერეკლე I-ს ემხრობოდა და ხან გიორგი XI-ს. 1696 ერეკლე I-მა დათუნა ქსნის ერისთავი გადააყენა და გიორგი XI-ის სხვა მომხრეებთან ერთად ირანში გაგზავნა. ერისთავად დათუნა ქსნის ერისთავის ბიძაშვილი დავითი დანიშნა. 1700 დათუნას დედის წაქეზებით ქსნისხეველები აჯანყდნენ და დავით ქსნის ერისთავი მოკლეს. ერეკლე I-მა აჯანყება ჩააქრო, ირანიდან გამოიწვია დათუნა და კვლავ ერისთავად დასვა (1700), ვახტანგ VI-ის ქართლის გამგებლად დანიშნის შემდეგ, როგორც ჩანს, დათუნა ქსნის ერისთავი ერთხანს ვახტანგის ერთგული იყო, შემდეგ მასაც გადაუდგა და გიორგი არაგვის ერისთავთან ერთად შაჰს ვახტანგის გადაყენება და იესე მეფედ დანიშვნა სთხოვა. იესეს მეფობაში (1714-1716) იგი ქართლის მეფის სახლთუხუცესი იყო. 1717 მეფე ბაქარმა სახლთუხუცესობა ჩამოართვა. დათუნა ქსნის ერისთავი მეფეს გადაუდგა. ბაქარმა თავისი ძმა ვახუშტი ბატონიშვილი გაგზავნა ჯარით დათუნას წინააღმდეგ, მაგრამ ერისთავის ბრძოლის დაწყებამდე გარდაიცვალა, მისი შვილები გადაიხვეწნენ, ვახუშტიმ ქსნის საერისთავო დაიკავა.

ელიზბარ ქსნის ერისთავი, ქსნის ერისთავი XVI საუკუნის 60-70-იან წლებში. 1569, როდესაც ქართლის მეფე სიმონ I ირანელების წინააღმდეგ ფარცხისთან ბრძოლაში დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა, ელიზბარ ქსნის ერისთავი და ბარძიმ ამილახვარი კავთისხევს მდგომ დედოფალს თავს დაესხნენ და მისი ქონება ხელთ იგდეს. როდესაც ქართლს ოსმალები შემოესივნენ მუსტაფა ლალა-ფაშას მეთაურობით, ელიზბარ ქსნის ერისთავი დაპყრობელს მიეგება. 1578 სიმონ I-ის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ ელიზბარ ქსნის ერისთავმა მიტაცებული ქონება უკან დაუბრუნა მეფეს და შენდობა თხოვა. მეფემ შეიწყალა და მხოლოდ მამულების ნაწილი ჩამოართვა.

ელიზბარ ქსნის ერისთავი († 18 სექტემბერი, 1662), კახეთის აჯანყების (1659) ერთ-ერთი მეთაური. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ირანის შაჰმა დასასჯელად თურქმანულ ტომებს გადასცა, რომლებმაც იგი წამებით მოკლეს. რამდენიმე ხნის შემდეგ კახეთის ელიზბარ ქსნის ერისთავი ჩამოასვენეს და იკორთაში, ერისთავების საგვარეულო მონასტერში დაკრძალეს. ქართულმა ეკლესიამ ელიზბარ ქსნის ერისთავი ისევ, როგორც აჯანყების სხვა წამებული გმირები, წმინდანად შერაცხა.

იესე ქსნის ერისთავი, XVII საუკუნის I ნახევრის პოლიტიკური მოღვაწე, გიორგი სააკაძის თანამებრძოლი. შემდეგ თეიმურაზ I-ს მიემხრო როსტომ მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბოლოს როსტომ მეფესთან შერიგება არჩია და ირანს გაემგზავრა, სადაც მის მიერ დაღუპული პაპუნა ამილახვრის შვილებმა მოკლეს.

იესე ქსნის ერისთავი (გ. 1745), XVIII საუკუნის I ნახევრის პოლიტიკური მოღვაწე. 1736-1741 წლებში თავის ძმასთან, შანშე ქსნის ერისთავთან ერთად მეთაურობდა ქსნის საერისთავოს აჯანყებას ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ. აჯანყების დამარცხების შემდეგ ირანში გაიწვიეს და ნადირ-შაჰის ბრძანებით დააპატიმრეს. 1745 წელს საქართველოში მომავალი გზაში გარდაიცვალა.

შალვა ქსნის ერისთავი († 18 სექტემბერი, 1662), ქსნის საერისთავოს ერისთავი, კახეთის აჯანყების (1659) ერთ-ერთი მეთაური. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, ქვეყნისთვის მტრის ახალი შემოსევა რომ აეცილებინა, შალვა ქსნის ერისთავი ბიძინა ჩოლოყაშვილთან და ელიზბარ ერისთავის შვილთან ერთად სპარსეთის შაჰს ეახლა. შაჰმა ისინი განჯის ხანს გადასცა, ხოლო განჯის ხანმა კი იმ თურქმენულ ტომებს, რომლებიც კახეთის აჯანყების დროს ამოწვივდნენ. ქართველი გმირები წამებით დახოცეს. ქართულმა ეკლესიამ ისინი წმინდანებად შეტაცხა. შალვა ქსნის ერისთავი დაკრძალულია ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხში - იკორთის მონასტერში.

შანშე ქსნის ერისთავი (დ. XVII საუკუნის მიწურული — გ. 1753), ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე. 1718 წლიდან ქსნის ერისთავი. 1719 ვახტანგ VI-ს აუჯანყდა. დამარცხებული შანშე ქსნის ერისთავი იმერეთში გადაასახლეს. იქიდან გაქცევის შემდეგ 1720 კვლავ აჯანყდა ვახტანგის წინააღმდეგ. დამარცხებულმა შანშემ მეფეს ერთგულება შეჰფიცა, რაც ბოლომდე დაიცვა. 1723, როცა ქართლ-კახეთში ოსმალთა ბატონობა დამყარდა, შანშე ქსნის ერისთავი სხვა თავადებთან ერთად ოსმალებს მიუვიდა, მაგრამ მალე მათაც აუჯანყდა. 1735 წლიდან, როცა ოსმალობა ყიზილბაშობამ შეცვალა, შანშე ქსნის ერისთავი გივი ამილახვართან და ვახუშტი აბაშიძესთან ერთად სათავეში ჩაუდგა ანტიირანულ აჯანყებას, გაამაგრა ქსნის სარისთავოს მტავარი ციხესიმაგრეები და ხან პირდაპირი შეხებით და ხან პარტიზანული თავდასხმებით სპარსელებს დიდ ზარალს აყენებდა. 1737 ირანის ლაშქარმა იკორთან დაამარცხა შანშე, რომელიც იმერეთში გადაიხვეწა, შემდეგ კი რუსეთში წავიდა. მას რუსეთის ხელმწიფისათვის ბაქარ ვახტანგის ძის სამშობლოში დაბრუნება უნდა ეთხოვა. წარუმატებელი მისიის შემდეგ შანშე ქსნის ერისთავი თავის მამულში დაბრუნდა და კვლავ განაგრძო ბრძოლა ყიზილბაშთა წინააღმდეგ. შანშეს ბრძოლის მეთოდები (დაღესტნელთა გამოყენება) მალე მიუღებელი გახდა ქართველებისათვის, ამიტომ ირანელებმა ქსნის საერისთავო ადვილად დაიმორჩილეს და გივი ამილახვარს გადასცეს. შანშემ ახალციხის ფაშას შეაფარა თავი. ნადირ-შაჰის მოთხოვნით ის ირანში გაისტუმრეს, სადაც შაჰმა

ჯერ დარუბანდის, ხოლო შემდეგ მაშათის ციხეში გამოაწვევია. 1745 თვალვინაობის შანში თბილისში დააბრუნეს, სადაც ორი წელი დაჰყო. 1747 მას კვლავ მისცეს ქსნის ერისთავობა. შანში შემდეგში მტრობდა ერეკლე II-ს და თეიმურაზ II-ს. ორგულობის გამო შეიპყრეს და მიიყვანეს თბილისს, სადაც გარდაიცვალა.

ფოტო კოლექცია

- ერისთ 001- ახალგორი. ქსნის ერისთავთა სასახლე. ფოტო გადაღებულია ალექსანდრე როინაშვილის მიერ. [ფოტოასლი. 13X18სმ]
- ერისთ 002 ახალგორი. ქსნის ერისთავთა სასახლის შიდა აივანი. [ფოტოასლი. 13X18სმ]
- ერისთ 003- ახალგორი. ქსნის ერისთავთა სასახლე. [ფოტო. 11X7სმ]
- ერისთ 004 ახალგორი. ქსნის ერისთავთა სასახლის შიდა აივანი. [ფოტო. 8,5X6სმ]
- ერისთ 005 ახალგორი. ქსნის ერისთავთა სასახლე. [ფოტოასლი. 13X18სმ]
- ერისთ 006- ახალგორი. ქსნის ერისთავთა კარის ეკლესიის მიდამოები. [ფოტოასლი. 13X18სმ]
- ერისთ 007- ახალგორი. ქსნის ერისთავთა სასახლის მიდამოები. უკან ჰქონდა მინაწერი: "ბარათაშვილი სწერს გრიგოლ ორბელიანს ამ ქვებზე და ჭადრებზე". [ფოტოასლი. 13X18სმ]
- ერისთ 008- ახალგორი. ქსნის ერისთავთა სასახლე. [ფოტო. 11X7სმ]
- ერისთ 009- მარჯვნიდან მარცხნივ პირველი ზის დავით ლუარსაბის ძე ერისთავი, მეორე: ერისთავის მეუღლე ანასტასია (ანეტა) ბებუთოვი (ბებუთაშვილი), მესამე: ბარონი ნიკოლაი, თავზე ადვას სოფიო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე, ეკატერინე და ნინო ჭავჭავაძეების და. [ფოტოასლი. 13X18 სმ]
- ერისთ 010- ანეტა ბებუთოვი [ბებუთაშვილი] დავით ლუარსაბის ძე ერისთავის მეუღლე [ფოტო. 10,5X14 სმ]
- ერისთ 011- ნიკოლოზ (კოლა) ერისთავი (1865-1933). საკუთარ კაბინეტში. ახალგორი. ერისთავების სასახლე. [ფოტოასლი. 13X18 სმ]
- ერისთ 012- დავით ლუარსაბის ძე ერისთავის მეუღლე ანეტა ბებუთოვა (ბებუთაშვილი). [ფოტოასლი. 13X18სმ]
- ერისთ 013- ნიკოლოზ (კოლა) ერისთავი (1865-1933) მეუღლესთან ტასო ციციშვილთან ერთად [ფოტოასლი. 13X18 სმ]
- ერისთ 014- ანასტასია (ტასო) ციციშვილი (ხვედურეთიდან) ნიკოლოზ (კოლა) ერისთავის მეუღლე. ზის ახალგორის სასახლის დიდ კაბინეტში. [ფოტო. 15X18სმ]
- ერისთ 015- დარიკო ერისთავი-ჯავახიშვილისა, დავით ლუარსაბის ძე ერისთავის ქალიშვილი, ნიკოლოზ (კოლა) ერისთავის (1865-1933) და. [ფოტო. 10X19სმ]
- ერისთ 016- დარიკო ერისთავი-ჯავახიშვილისა, დავით ლუარსაბის ძე ერისთავის ქალიშვილი, ნიკოლოზ (კოლა) ერისთავის (1865-1933) და. იყო ნინო ჯავახიშვილის დედა, გულჩარა

- ჯაფარიძის ბებია. 1.02.1936. [ფოტო. 14X9სმ]
- ერისთ 017- ანასტასია (ტასო) ციციშვილი (ხვედურეთიდან) ნიკოლოზ (კოლა) ერისთავის მეუღლე. ზის ახალგორის სასახლის დიდ კაბინეტში. [ფოტოასლი. 13X18სმ]
- ერისთ 018- ახალგორის ერისთავთა სასახლის გოგირდის აბანოსთან დგანან: მარჯვნიდან მარცხნივ პირველ რიგში: ნინო ჯავახიშვილი (ნიკოლოზ (კოლა) ერისთავის დისშვილი), ბარათაშვილი იოსებ. ?. ნინა ნიკოლოზის ასული ერისთავი. მესამე რიგში: შალვა ერისთავი, მართა ვაჩნაძე (ნიკოლოზ ერისთავის მეუღლის, ტასო ციციშვილის დისშვილი) [ფოტოასლი. 13X18 სმ]
- ერისთ 019- მარჯვნიდან მარცხნივ თამარ ნიკოლოზის ასული ერისთავი, გიგუშა ნიკოლოზის ძე ერისთავი, ნინა ნიკოლოზის ასული ერისთავი. ალექსანდრე როინიშვილის ფოტო [ფოტოასლი. 13X18 სმ]
- ერისთ 020- ნიკოლოზ (კოლა) ერისთავი შვილიშვილთან შალვა აშხაძევასთან ერთად. [თან ახლავს ფოტოასლი 13X18სმ] [ფოტო.16X10 სმ]
- ერისთ 021- ნიკოლოზ (კოლა) ერისთავი ახალგორის სასახლის კარის ეკლესიასთან. ამ ეკლესიას უკავშირდება ვაჟა-ფშაველას სახელი. თამარ აშხაძევას მოგონების მიხედვით ვაჟა თბილისში მაწონს ჰყიდიდა და ტან ფანდურზე საკუთარ ლექსებს მღეროდა. იგი კოლა ერისთავს შეუნიშნავს და სიმღერად თქმული ლექსი ძალიან მოსწონებია. იმავე დღეს ვაჟა კოლას ახალგორში წაუყვანია. ვაჟამ დამე ახალგორის სასახლის ეკლესიაში გაათენა. მეორე დღეს კოლას ვაჟა ილიასთან მიუყვანია. [ფოტოასლი. 13X18 სმ]
- ერისთ 022- ახალგორის ერისთავთა სასახლე. მარჯვნიდან მარცხნივ პირველი ანასტასია ციციშვილი ერისთავისა. ნიკოლოზ (კოლა) ერისთავის მეუღლე. [ფოტოასლი. 13X18 სმ]
- ერისთ 023- ნიკოლოზ (კოლა) ერისთავი თავის შვილებთან ერთად. თამარი, ნინო, შალვა. ფოტო გადაღებულია ერისთავების ახალგორის სასახლეში. [ფოტოასლი. 13X18სმ]
- ერისთ 024- დარიკო ერისთავი-ჯავახიშვილისა, დავით ლუარსაბის ძე ერისთავის ქალიშვილი, ნიკოლოზ (კოლა) ერისთავის (1865-1933) და. [ფოტოასლი. 13X18სმ]
- ერისთ 025- ახალგორი. ქსნის ერისთავთა სასახლე. მარჯვნიდან მარცხნივ პირველი ტასო ციციშვილი, ნიკოლოზ (კოლა) ერისთავის მეუღლე, შემდეგ კოლას და დარია დავითის ასული ერისთავი-ჯავახიშვილისა (მეუღლე ქაიხოსრო გიორგის ძე ჯავახიშვილი (1869-1928), მადლა დგას თამარ ერისთავი, ზის თეთრ მაისურში ნიკოლოზ (კოლა) ერისთავი, შემდეგ შალვა ერისთავი (იუნკერი), ნინო ერისთავი. 1919 წელი [ფოტოასლი. 13X18სმ]
- ერისთ 026- თამარ ნიკოლოზის ასული ერისთავი. ფოტო გადაღებულია

ქსნის ერისთავთა სასახლეში ახალგორში. [ფოტოასლი. 13X18სმ]

- ერისთ 027- ნიკოლოზ (კოლა) ერისთავის შვილები: მართა, შალვა და ნინა. ტახტრევანზე ზის დედა ანასტასია (ტასო) ციციშვილი. შირშანზე წარწერა იყო: “იცოცხლე დიდხანს ჩვენო ილია. შენით აქვს ქართველს დიდი გულია”. ფოტო გადაღებულია ახალგორში. ქსნის ერისთავთა სასახლეში. [ფოტო. 8X11 სმ]
- ერისთ 028- ნინო ნიკოლოზის ასული ერისთავი. [ფოტო. 5X11სმ]
- ერისთ 029- ახალგორი. ქსნის ერისთავების სასახლე. სარკესთან ზიან თამარ ნიკოლოზის ასული და ნინა ნიკოლოზის ასულე ერისთავები. [ფოტო. 8X5სმ]
- ერისთ 030- ნიკოლოზ (კოლა) ერისთავის შვილები. მარჯვნიდან მარცხნივ პირველი შალვა (ფეხბურთელი, იუნკერი), თამარ და ნინა [ფოტოასლი. 18X13 სმ]
- ერისთ 031- აფხაზეთი. გრაფ ალექსანდრე ოლდენბურგის სასახლე ქვაგრაში. მარჯვნიდან მარცხნივ პირველი ნინო ქაიხოსროს ასული ჯავახიშვილი და მისი მამიდაშვილი ნინო ნიკოლოზის ასული ერისთავი. 1927 წ. [ფოტოასლი. 13X18სმ]
- ერისთ 032- ნინა ნიკოლოზის ასული ერისთავი, შალვა აშხაცავასთან (აშხვეიწა) ერთად. [ფოტოასლი. 13X18სმ]
- ერისთ 033- ნინო ნიკოლოზის ასული ერისთავი. [ფოტოასლი. 13X18სმ]
- ერისთ 034- თამარ ნიკოლოზის ასული ერისთავი დისშვილთან შალვა აშხაცავასთან ერთად. [ფოტოასლი. 13X18სმ]
- ერისთ 035- ახალგორის ერისთავთა სასახლე. ნინა ნიკოლოზის ასული ერისთავი. [ფოტოასლი. 13X18სმ]
- ერისთ 036- ნინა ნიკოლოზის ასული ერისთავი. [ფოტოასლი. 13X18სმ]
- ერისთ 037- ნინა ნიკოლოზის ასული ერისთავი შვილთან შალვა აშხაცავასთან ერთად. [ფოტოასლი. 13X18სმ]
- ერისთ 038- ნინა ნიკოლოზის ასული ერისთავის ვაჟი შალვა აშხაცავა. ახალგორი. ერისთავთა სასახლე. [ფოტოასლი. 13X18სმ]
- ერისთ 039- ნინა ნიკოლოზის ასული ერისთავი. [ფოტოასლი. 13X18სმ]
- ერისთ 040- ნინა ერისთავის ვაჟი შალვა აშხაცავა. [ფოტოასლი. 13X18სმ]
- ერისთ 041- ნინა ერისთავი ვაჟი შალვა აშხაცავა. [ფოტოასლი. 13X18სმ]
- ერისთ 042- ნინა ერისთავის და სიმონ მიხეილის ძე აშხაცავას ვაჟი შალვა. [ფოტოასლი. 13X18სმ]
- ერისთ 043- ერისთავთა ნათესავი გუგული [ფოტო. 8X13 სმ]
- ერისთ 044- ქსნის ერისთავთა შთამომავალი ნიკოლოზ (კოლა) ერისთავის ვაჟი შალვა ერისთავი. იყო ფეხბურთელი და იუნკერი. დაიღუპა თბილისის მისადგომებთან 1921 წლის 24 თებერვალს. ფოტო გადაღებულია დაკრძალვის დღეს. [ფოტო. 14X22 სმ]
- ერისთ 045- საფეხბურთო გუნდი “ოირა”. კაპიტანი ვ.საპოჟნიკოვი. გუნდის წევრები: ბ.შადრიანი, კ.სტრილიცოვი, კ.გეხტიანი, ა.ბაღდასაროვი, ს.ორლოვსკი, ვ.ჩეკრიმანი, მ.ჩაჩავა, შალვა

ერისთავი, კვერჩინსკი, ვ.საპოქნიკოვი, ლავრიკი. 1914 წ. [10X6,5]

- ერისთ 046- ახალგორის ერისთავთა შთამომავალი ნიკოლოზ (კოლა) ერისთავის ვაჟი შალვა ერისთავი (დგას მარცხნიდან პირველი) ფოტოზე აღბეჭდილია ვერის პირველი საფეხბურთო ჯგუფი 1912 წელს. აქვე დგანან გიორგი ლაზარიშვილი, პატე მგალობლიშვილი, პავლე რაზიკაშვილი (ვაჟა ფშაველას ძმა) კოტე ბაქრაძე, პეტია მაღაბეკოვი. შალვა ერისთავი იყო იუნკერი. დაიღუპა 1921 წლის 24 თებერვალს. [ფოტო. 19X15,5]
- ერისთ 047- საფეხბურთო გუნდი “სლეტი” ამხანაგური თამაშის დროს აიღო თბილისის პირველობა. კაპიტანი ბორია შადრინი, გოლერი: ვალოდია შებაღდაევი, ბეკი:-ანდრეი მუჟანოვი, ლულკა ფრეი. ხაუბეკები:- ბორია ჩისტიაკოვი, შალვა ერისთავი, არმენიკი. ფორვარდები: სემა დუსიაცკი, ანდრეი სტაროვი, ირიშა მუხანოვი, ბორია შადრინი, რომკა პოდოსოვი.. 1917 წელი. [ფოტო. 14X9სმ]
- ერისთ 048- ქართველ ფეხბურთელთა გუნდი. მარცხნიდან პირველი დგას შალვა ნიკოლოზის ძე ერისთავი. შემდეგში იუნკერი. დაიღუპა 1921 წლის 24 თებერვალს. ფოტო გადაღებულია ზაფხულში, სურამში 1919 წელს. [ფოტო/ 13X19]
- ერისთ 049- ქართველ ფეხბურთელთა გუნდი. მარცხნივ ვაგონში გამოსასვლელთან დგას შალვა ნიკოლოზის ძე ერისთავი. 1919 წლის ზაფხული. [ფოტო. 12X8]
- ერისთ 050- ქართველ ფეხბურთელთა გუნდი. ზედა რიგში მარჯვნიდან პირველი შალვა ნიკოლოზის ძე ერისთავი. თბილისი. 1919 წლის ზაფხული. [ფოტო.9X11 სმ]
- ერისთ 051- ფეხბურთელთა გუნდი. მეორე რიგში მარჯვნიდან პირველი ზის შალვა ნიკოლოზის ძე ერისთავი [ფოტო. 9X14 სმ]
- ერისთ 052- ფეხბურთელთა გუნდი. მარჯვნიდან მესამე შალვა ნიკოლოზის ძე ერისთავი [ფოტო. 15X7 სმ]
- ერისთ 053- შალვა ნიკოლოზის ძე ერისთავი. ფეხბურთელი. შემდეგში იუნკერი. [ფოტო. 8,5X11 სმ]
- ერისთ 054- ვალერიან გუნია (?). თუმცა უკანა მხარეს რუსულ ენაზე აქვს შემდეგი შინაარსის წარწერა: “ძვირფას თავადს კოლა ერისთავს, კამბეჩოვანის (ქიზიყის) ყოფილ ერისთავს, ბამბუკ ივანეს ძე ბამბუკოვისაგან. 1903 წლის 22 მარტი. ქ.სიღნაღი. ვ.ს. ბეტოვი”. ვალერიან გუნია ივარაუდება წინა მხარეს ოჯახის ერთ-ერთი წევრის თანამედროვე მინაწერის მიხედვით, თუმცა ძალიან საეჭვოა. [ფოტო. 16,5X11სმ]
- ერისთ 055- ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი (1857-1927). ფოტოს აქვს წარწერა მიძღვნილი ნიკოლოზ (კოლა) ერისთავისადმი. [ფოტოასლი. 13X18სმ]
- ერისთ 056- თბილისი. ალექსანდრე სუმბათაშვილ იუჟინისადმი მიძღვნილი საღამოს მონაწილენი. ქვემოდან ზემოთ მეორე რიგში მარჯვნიდან მარცხნივ მეორე ანასტასია (ტასო) ციციშვილი,

მესამე თამარ ერისთავი, მეოთხე ნინა ერისთავი, მესამე რიგში მარჯვნიდან მარცხნივ მეთორმეტე ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი (1857-1927). მეოთხე რიგში მარჯვნიდან მარცხნივ მეათე ნიკოლოზ (კოლა ერისთავი). [ფოტოასლი. 13X18სმ]

ერისთ 057- ნიკოლოზ (კოლა) ერისთავი. [ფოტო. 25X29 სმ]

ერისთ 058- გიგუშა ნიკოლოზ (კოლა) ერისთავის ვაჟი, მონათლულია ილია ჭავჭავაძის მიერ. არსებობს ამ ამბის შესახებ კოლა ერისთავის დის დარია ერისთავ-ჯავახიშვილის (1873-1962) შემდეგი მოგონება:- “ ორი დღე ერის მამასთან. მამაჩემის, დავით ლუარსაბის ძე ერისთავის ოჯახი ცხოვრობდა დუშეთის მაზრაში, სოფელ ახალგორში (ეხლანდელი ლენინგორი). მამაჩემს ჰყავდა ხუთი შვილი. მათში უფროსს ერქვა ნიკოლოზი ანუ კოლა, როგორც მას იცნობდა ქართული საზიგადოება. კოლას ბავშობიდანვე უყვარდა სცენა და გატაცებული იყო ხელოვნებით. იგი 8 წლისა იყო მხოლოდ, როდესაც პირველად მიიღო მონაწილეობა მოლიერის პიესაში, რომელშიც ასრულებდა ბავშვის როლს. როდესაც კოლა წამოიზარდა, მან მოინდომა მსახიობად გახდომა, მაგრამ მამამ ამის ნება არ მისცა და კოლაც ძალაუნებურად დაემორჩილა მამის სურვილს. მან თავი დაანება სცენას და ხელი მიჰყო მხატვრულ კითხვას. ამ ნიადაგზე იგი დაუახლოვდა ცნობილ ქართველ მწერალს ილია ჭავჭავაძეს და მიუხედავად იმისა, რომ ილია ბევრად უფროსი იყო მასზე, მისი გულითადი მეგობარი გახდა. როდესაც ჩემ ძმას კოლას შეეძინა უფროსი ვაჟიშვილი, მან გადასწყვიტა რომ ილიას იგი მოენათლა. მართლაც ზაფხულში მოაწყო ნათლობა და ნათლიად ილია ჭავჭავაძე მიიწვია. ილია სიამოვნებით დათანხმდა და ნათლობის დღე დანიშნეს. ეს მოხდა დაახლოებით 1890 წელს. ჩვენს ოჯახში გაიმართა დიდი მზადება ნათლობისთვის და ილიას შესახვედრად, რომელიც მანამდე ჩვენთან, ახალგორში არ ყოფილიყო. ი. ჭავჭავაძესთან ერთად დაპატიუებული იყვნენ ილიას მეგობრები და სოფლის ინტელიგენცია. ეხლა გვარებს ვერ ვიხსენებ, მახსოვს მხოლოდ ცნობილი ქართველი მსახიობები: ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, მომღერალი ქალი მაკინე ამირეჯიბი და ბევრი სხვა. სტუმრების შესახვედრად გაემგზავრნენ ჩემი უმცროსი ძმა გიორგი (ჟორჟიკა) თავის ტოლ-ამხანაგებით, რომლებიც გამოწვობილნი იყვნენ ერთნაირ თეთრ ჩოხებში და ისხდნენ ერთფერ ცხენებზე... 12 საათზე მოგვესმა თოფის ხმა. ყველანი გამოვედით და შევეგებეთ ეზოში შემოსულ ეტლს, რომელშიც იჯდა ილია თავის მეგობრებით. ეტლს გარს ეხვია დამხვედრი ახალგაზრდა ცხენოსნები. ეტლიდან ჩამოსულ სტუმრებს კარის ეკლესიასთან შევეგება შემოსილი მღვდელი ჯვრით

ხელში. ყველა ემთხვია ჯვარს და მღვდელმაც დალოცა ახლადმოსული სტუმრები. ამის შემდეგ ყველანი- სტუმრებიც და მასპინძლებიც ავიდნენ სასახლეში.

ჩვენი სასახლე წარმოადგენდა სამსართულიან შენობას, რომლის ფართო აივანი ეყრდნობოდა 8 მაღალ სვეტს. აივნიდან თვალწინ იშლებოდა დიდი ბაღი და ქსნის მთელი ხეობა. თვალწარმტაცმა ბუნებამ მოხიბლა ილია, რომელმაც გამოსთქვა თავის აღტაცება. ბაღში ილიამ დაინახა უშველებელი, მაღალი ჭადრის ხეები და მათ ქვეშ დიდი ქვის მაგიდა. ილია მიუბრუნდა კოლასა და ჰქკითხა: “ეს ქვებია, რომელზედაც სწერდა ნიკოლოზ ბარათაშვილი“-ო?

გზიდან დაღლილი ილია შეიყვანეს მისთვის გამზადებულთახში, რომელშიც ბუხრის წინ იდგა დიდი ჩუქურთმიანი ჩარჩო, ტილოთი გადაკრული, ტილოზე ეწერა:

“იცოცხლე დიდხანს ჩვენო ილია,

შენით აქვს ქართველს დიდი გულია”

სანამ ნამგზავრი ილია და სხვა სტუმრები სივენებდნენ, ეკლესიაში ყველაფერი მოამზადეს ნათლობისათვის. მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ ყველანი შეგროვდნენ ეკლესიაში და დაიწყო ნათლობა. ბავშვს სახელად გიგო დაარქვეს. ნათლობის წესების შესრულების შემდეგ დიასახლისმა მიიპატიუა სტუმრები დიდ დარბაზში, სადაც მათ ელოდათ მშვენიერად გაწყობილი სუფრა. ილიას გვერდით იჯდა მაკინე ამირეჯიბი, რომელმაც თავისი მოხდენილი სიმღერით მოხიბლა ჩვენი მგოსანი და იმდენად გაამხიარულა, რომ ლექურიც კი აცეკვა. ილიამ იცეკვა და გამოიწვია მაკინე ამირეჯიბი, რომელიც თავის შესანიშნავი სიმღერის გარდა, განთქმული იყო როგორც მოცეკვავე.

გამხიარებულმა ილიამ წაუკითხა დამსწრეთ თავისი ლექსი. მის საპასუხოთ მისვე ლექსი წაუკითხა ჩემმა ძმამ კოლამ. ილიას ძალიან მოეწონა კოლას კითხვა, გადაეხვია, აკოცა და უთხა:

“სხვისი სიტყვა შენგან თქმული

კეთდება და უფრო შენის”

შემდეგში ილიამ გამოუგზავნა კოლას საჩუქრად თავისი წიგნები ასეთივე წარერით.

სადილს ვახშამი მოჰყვა და დროს ტარებამ და ლხინმა შუაღამემდე გასტანა. საღამო ჟამს მთელი სასახლე, აივანი და ეზო ჭრაქებით განათდა.

როდესაც სოფლის მცხოვრებლებმა გაიგეს ილიას ჩვენთან ყოფნა, მოვიდნენ სასახლეში და ნიშნად პატივისცემისა და სიყვარულისა მობრუნდნენ ნობათი: ქსნის ხეობის თევზი და ნაირ ნაირიხილი.

ილიამ ახალგორში დაჰყო ორი დღე. იგი მთელმა საზოგადოებამ გააცილა სადგურ კასპამდე.

შემდეგში ილია ხშირად იგონებდა ახალგორში სიამოვნებით
გატარებულ დღეებს.

ერისთ- 059 სამხედროთა ჯგუფი. მარცხნიდან პირველ რიგში
წამოწოლილია ნიკოლოზ (კოლა) ერისთავი